კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
მისამართი - მ.ალექსიძის 1/3
ტელეფონი - 032 2 47 42 42

6 აპრილი, თბილისი - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი იმერეთის რეგიონის, კერძოდ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთში გამართავს პროექტის პრეზენტაციას „წიგნის მოვლის კულტურა“, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო ღონისძიებების ციკლს სკოლის მოსწავლეთათვის.

პროექტს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კონსერვაცია-რესტავრაციის სამეცნიერო ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომლები ახორციელებენ. პროექტის საპილოტე პროგრამის მიზანია, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაცემის საფუძველზე ბავშვებს გამოუმუშავდეთ წიგნის მოვლის უნარ-ჩვევები, აგრეთვე ჩამოუყალიბდეთ და აუმაღლდეთ წიგნთან სწორად მოპყრობის კულტურა. გარდა ამისა პროექტის მიზნებში გათვალისწინებულია საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ ბიბლიოთეკებში დაცული წიგნების ფიზიკური მდგომარეობის შესწავლა და მათი რეაბილიტაციის პროგრამის შემუშავება, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს რეგიონში არსებული სკოლის ბიბლიოთეკების მდგომარეობას და ხელს შეუწყობს წიგნის რესტავრაციის პოპულარიზაციას ახალგაზრდა თაობაში.

პროექტის ფარგლებში განხორციელდება საქველმოქმედო აქცია, რომელიც ითვალისწინებს სოფელ სიმონეთში, დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმში დაცული წიგნების ფიზიკური მდგომარეობის ანალიზს და გამოვლენილი ერთეულებიდან განსაკუთრებით დაზიანებული წიგნის კონსერვაცია-რესტავრაციას ცენტრის რესტავრატორების დახმარებით.

შეგახსენებთ, რომ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის უდიდესი ხელნაწერი მემკვიდრეობის საცავი საქართველოში. იგი ემსახურება ხელნაწერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სამეცნიერო პროდუქციის შექმნის გზით ხელს უწყობს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდასა და განვითარებას.

საკონტაქტო პირი:
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;
მარიამ ჯაბიძე
mariamjabidze@gmail.com **577 977 199**
თამარ გურგენიძე
friends@manuscript.ac.ge **599 899 628**